საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 288 2018 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსისათვის, გიორგი ჭოლაძისათვის, დელეგირების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატში ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის – ბრძანების გამოცემის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის სამსახურებრივი დოკუმენტაციის ხელმოწერის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური

პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივ მივლინებებთან დაკავშირებით სათანადო ბრძანების გამოცემის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაწესებულების ხელმძღვანელის სხვა უფლებამოსილებები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვის, ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის საჭიროებისათვის (საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრებისა და ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებისა და ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილებები მიენიჭოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსს, გიორგი ჭოლაძეს.

მამუკა ბახტაძე